ბავშვებო, როგორ უნდა მივხვდეთ, რომ მეწყერი იწყება?

- იჭედება კარი და ფანჯრები
- ბზარები ჩნდება იატაკზე, ჭერსა და კედლებზე
- ფორმა ეცვლება გარე ბილიკებსა და შენობებს

1

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: მეწყერი არის სიმძიმის ძალის გავლენით მთის ქანებისა და გრუნტის ჩამოცურებით გადაადგილება (დაცოცება) მთისა და ხეობის ფერდობზე. ასევე, ზღვის, ტბისა და მდინარის ნაპირზე.

მეწყერი წარმოიშობა ფერდობის ჩარეცხვის, დანესტიანების, მიწისძვრის, ფერდობის ძირის გამორეცხვისა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად (ასაფეთქებელი სამუშაოები, ფერდობებზე სახლების მშენებლობა, კაშხლების მშენებლობა და ა.შ.).

მეწყერს თან ახლავს ხმაური,
რაც გამოწვეულია მცენარეების
ფესვების ნიადაგიდან მოწყვეტით.

2

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: მეწყერი შეიძლება გადაადგილდეს ნელა (ათეული სანტიმეტრი წელიწადში), საშუალო სიჩქარით (ერთი მეტრი დღე-ღამეში) ან სწრაფად (ათეული კილომეტრი საათში).

მეწყერი მოძრაობის მიხედვით კლასიფიცირდება 3 სახეობად:

1. ვარდნილი 2. დაცურებული 3. ჩამოდენილი.

ბავშვებო, მეწყერი ხშირია გაზაფხულზე, როცა თოვლი იწყებს დნობას და ხანგრძლივად წვიმს. იქ, სადაც არ არის ბევრი ხე და მცენარე წყალი ადვილად ჟონავს მიწაში და ასუსტებს მას. თუ თქვენ ასეთ რამეს სადმე შეამჩნევთ, იცოდეთ, რომ მეწყერია მოსალოდნელი.

3

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: მეწყრის მიზეზია უხვი ნალექების და გაზაფხულზე თოვლის დნობის დროს ტენიანობის მომატებისას მიწის მასების წონასწორობის რღვევა, როდესაც მოჭარბებული წყლის ნაკადი ფერდობის ძირს გამორეცხავს და მის შესუსტებას იწვევს.

ᨣᨚᨠ᨞-ᨣᨚᨠ᨞

ბავშვებო, როდესაც გესმით ჭახა-ჭუხის ხმა მიწიდან, ეს ნიშნავს, რომ მეწყერი იწყება.

4

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: მეწყრის დროს გრუნტის გადაადგილებას თან ახლავს ძლიერი ხმაური. მეწყრის დროს გადაადგილებული გრუნტის მოცულობა ათობით და ასობით ათას კუბურ მეტრს შეიძლება აღწევდეს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, უფრო მეტსაც.



თუ თქვენს სახლთან ან ბაღთან ახლოს ქვების ცვენა დაიწყო, უნდა მიხვდეთ, რომ მეწყერი იწყება.

5

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: არ შეიძლება სახლის აშენება მთის ძირში. თუ თქვენ ცხოვრობთ მეწყერსაშიშ ზონაში, ყურადღება მიაქციეთ ისეთ მოვლენას, როგორიც არის ქვათაცვენა. ეს უკანასკნელი მეწყრის დაწყების ერთ-ერთი ნიშანია.

ბავშვებო, არ გამოიყენოთ
სასმელად დაბინძურებული
და მუქი შეფერილობის/
ამღვრეული წყალი.

6

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: მიუხედავად უხვი ნალექისა, მეწყრის დროს სასმელი და სამომხმარებლო წყლის მარაგი შეიძლება შემცირდეს და/ან დასალევად უვარგისი გახდეს.

ბავშვებო, როგორც კი შეამჩნევთ, რომ მეწყერი იწყება, სასწრაფოდ შეატყობინეთ უფროსებს ამის შესახებ და მათთან ერთად დატოვეთ მეწყერსაშიში ადგილი.

7

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: მეწყრის ნიშნების გამოვლენისას, ევაკუირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად, მეწყრის მოძრაობის პერპენდიკულარული მიმართულებით. ევაკუაციის დროს არ გამოიყენოთ სატრანსპორტო საშუალება, რადგან გადაადგილება უფრო გაგირთულდებათ.

ევაკუაციის დროს თან აუცილებლად უნდა წაიღოთ საბუთები, თბილი ტანსაცმელი და პროდუქტები.

უფროსებმა არასოდეს
არ უნდა ააშენონ სახლი
მეწყერსაშიშ ზონაში და მით
უფრო მთის ძირში.

8

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: გრუნტის მასების გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს საცხოვრებელი და საწარმოო შენობების, საინჟინრო და საგზაო ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება და ნგრევა. აგრეთვე, ადამიანების დაშავება და დაღუპვა.

ბავშვებო, ჩვენ შეგვიძლია
შევაჩეროთ მეწყერი!
გავუფრთხილდეთ ტყეს, მოვუაროთ
მცენარეებს, დავრგოთ ხეები და
ავაშენოთ სხვადასხვა ნაგებობები,
რითაც გავამაგრებთ მიწას.

9

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

ბავშვებო, ნახეთ, როგორ რგავენ
და უფრთხილდებიან ხეებს.

მოდით მივბაძოთ მათ!

10

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

შენიშვნა აღმზრდელისთვის: ბავშვებთან ერთად დარგეთ ხეები.

ბავშვებო, ღვარცოფი წარმოიქმნება მოულოდნელად, მდინარეებთან ახლოს. ის იმდენად ძლიერია, რომ თან მოაქვს დიდი ზომის ქვები და ლოდები. მოახლოებული ღვარცოფის გამოცნობა ადვილია - ამ დროს ქვები ძლიერად ეხეთქება ერთმანეთს და ხმამაღალი გრუხუნი ისმის.

11

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

განმარტება აღმზრდელისთვის: ღვარცოფი (სელური ნაკადი) არის წყლის და დიდი ოდენობით მთის ქანების ნაშალის (ნამსხვრევების), თიხოვანი ნაწილაკების, დიდი ქვებისა და ლოდების ნარევის დროებითი ნაკადი, რომელიც უეცრად წარმოიშობა მთის მდინარეების კალაპოტებსა და ველ-დაბლობებში.



არ დაგავიწყდეთ, რომ ლოდები, რომლებიც ღვარცოფს მოაქვს შეიძლება წყლიდან ამოიტყორცნოს და ძალიან საშიში გახდეს ჩვენთვის, ამიტომ, სასწრაფოდ უნდა დავშორდეთ ღვარცოფს და ავიდეთ შემაღლებულ, უსაფრთხო ადგილზე.



12

Humanitarian Aid and Civil Protection

ASB Arbeiter-Samariter-Bund

Save the Children

წინასწარი ღონისძიებები ღვარცოფის თავიდან ასაცილებლად:

- ღვარცოფსაშიშ რაიონებში იგება ღვარცოფის საწინააღმდეგო ჯებირები და კაშხლები;
- კეთდება შემოვლითი არხები;
- რეგულირდება, ანუ მცირდება მთის ტბების წყლის დონე;
- ხეების დარგვის გზით ხდება ფერდობებზე მიწის გამაგრება;
- ტარდება დაკვირვებები, იქმნება შეტყობინების სისტემა და იგეგმება ევაკუაცია.